ცნობის ფურცელი

№ 1917 პარასკევი, 6 სექტემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1917

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლ სექტემბრიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარედ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **2** მან. და **60** კაპ,

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რჩევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—54)

პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

ელისაბედის ქუჩა № 25. ყმაწვილებს მიიღებენ 1-ლ ენკენისთვიდან. (10—9)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

ზედგინიძისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურის, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ლ. ი. კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 9—10.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ფრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. მ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვგინამგიდისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ.)

1 ენკენისთვიდან **ქ. ოზურგეთში**

გაიხსნა **ქალების ოთხ-კლასიანი სასწავლებელი პროგიმნაზიულის კურსით.** თხოვნები მიიღება მთელის წლის განმავლობაში გიგო გოგიტიძის სახლში. (6. 10—5).

დ. სარხერეში

მასწავლებელი **ხერგეი ჯინჭველაშვილი ასწავლის ქართულს გალობას** ნოტების საშუალებით. თანაც ამზადებს საქალაქო სასწავლებლისათვის. (4—3)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ რეპეტიციები

გამოსაცდელ წარმოდგენისა

დაიწყება 10 სექტემბრიდან.

ვისაც ჰსურს ამ წარმოდგენებში მონაწილეობა მიიღოს, თანხმობა უნდა გამოაცხადოს დამგეობის კანტორაში. (3—1)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30)

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 6—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ბებია

ვ. მ. ლიმონი

ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლოს რიგზე. (0—34)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

და

სახელოსნო სკოლაში

იღებენ ყოველ გვარ ხელსაქმეს: კაბებს როგორც დიდებისას, აგრეთვე ბავშვებისას, თეთრეულს, ქარგვას, სხვა-და-სხვა ხელოვნურ ხელსაქმეს და საცვლებზე ამოჭკრევენ ნიშნებს (МѢТКИ). **ბარონის ქუჩა № 12.**

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. კაპიტან შოუ-ტეილორმა განიზრახა, ლენდლორდები და მიწის მოიჯარადრენი კონფერენციაზე მოიწვიოს იმ აზრით, რომ აგრარიული საქმე „პატიოსნად, მარტივად და პრაქტიკულად“ გადასწყვიტოს. ირლანდიელი ნაციონალისტების გაზეთები შენიშნავენ: მეტად გასჭირდება ამ კონფერენციის შეკრება და საეჭვოცაა, რომ ლენდლორდების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღონ კონფერენციაშიო. ირლანდიაში მაინც ინტერესით ადევნებენ თვალყურს ამ კონფერენციას.

საფრანგეთი. ჟორესი აცხადებს „პტი რეპუბლიკ“-ში: რამწამს პარლამენტი შეიკრიბება, ჩემი პარტია მოითხოვს, რომ ყველაფერი, რაც კი საყურადღებოა ნანტის პროცესში, დაიბეჭდოს და მთელ საფრანგეთში გაიკრას; უნდა გამოცხადდეს, მაგალითად, გენერალ ფრატერის ბრძანება, პოლკოვნიკ სენ-რემის პასუხი და სამხედრო სასამართლოს განაჩენი: ჯარის-კაცებმა უნდა იცოდნენ, თუ რას ჰნიშნავს სიტყვა „დისციპლინა“, სადამდე უნდა დაემორჩილონ უფროსებს და როდის შეუძლიანთ თავიანთ ჭკუით და თავიანთ ნებაზე მოიქცნენო.

◆ მინისტრთა საბჭოს 27 აგვისტოს პოლკოვნიკი სენ-რემისათვის ამნაირი სასჯელი გადაუწყვეტია: სენ-რემი თანამდებობიდან გადააყენეს, ამას იქით მარტო ჯამაგირის $^3/_5$ ნაწილი-ღა მიეცემა, დისციპლინის წესებს კი მაინც უნდა ემორჩილებოდეს. სამხედრო მინისტრს შეუძლიან უბრძანოს სენ-რემის, დანიშნულს ადგილს იცხოვროს; შეუძლიან აგრეთვე ყოველ წამს საგანგებო გამომძიებელ კომისიას წარუდგინოს სენ-რემის საქმე განსახილველად და იმისი სამსახურიდან სამუდამოთ გადაყენება ითხოვოს.

სამინისტროს წინააღმდეგი გაზეთები ამ სასჯელს ნამეტან სასტიკ სასჯელად სთვლიან; რესპუბლიკის მომხრე გაზეთები კი ისევ თხოულობენ, სამხედრო იუსტიცია და სასამართლოები მოისპოსო.

მინისტრი ანდრე არ დასწრებია მინისტრთა საბჭოს კრებას, როცა სენ-რემის საქმე ირჩეოდა; ამ დროს ჯარის ალლუმზე იმყოფებოდა, მაგრამ, ამბობენ, თავისი აზრი ამ საქმეზე ანდრემ წერილით შეატყობინა ამხანაგებსაო.

იმავე დღეს მინისტრებს დეპარტამენტების უფროსები ზოგი გადაუყვან-გადმოუყვანიათ, ზოგიც ახალი დაუნიშნავთ.

ფინანსთა მინისტრს რუვიეს მოუხსენებია საბჭოსათვის: საშინაო არყის უბაჟოდ გამოხდას არ გავაუქმებ სრულიადაო; მინდა მხოლოდ, უფრო ცნობაში მოვიყვანო და თვალყური ვადევნო ასეთ არყის ხდასაო. ამას გარდა თამბაქოს ბაჟის ეხლანდელი წესები უნდა შეიცვალოსო.

ავსტრ-უნგრეთი. ფრანგულ გაზ. „ტან“-ის კორესპონდენტს შეუტყვია, თუ რით გათავებულა ავსტრიისა და უნგრეთის მინისტრების მოლაპარაკება სავაჭრო ტარიფის თაობაზე.

ორი დღის ბეჯითი შრომის შემდეგ, მართალია, საბოლოოდ ვერ გადასწყვიტეს, მაგრამ საქმე მაინც წინ წასწიეს. ავსტრიამაცა და უნგრეთმაც ორივემ დააკლეს ბაჟები თავთავიანთ ქვეყნების ნაწარმოებს. ყოველ საქონელს ბაჟი გერმანიის ახალი სადამოჟნო ტარიფის მიხედვით მიემატება. მაინც ჯერ ბევრი საქმე დარჩათ გადასაწყვეტად; ვენაში მალე ახალი მოლაპარაკება გაიმართება და იმედი აქვთ, იმპერატორის დახმარებით საბოლოოდ მორიგდებიანო. შეთანხმების პროექტი ავსტრიის პალატას არ წარედგინება, სანამ 1903 წლის ბიუჯეტს არ დაამტკიცებს. კერბერისათვის ასე სჯობია: იმედი აქვს, მანამდე ჩეხებთანაც მორიგებას ჩამოაგდებს. რამწამს უნგრეთთან შეთანხმდება, მთავრობა ამ შეთანხმების პროექტს დიდ კომისიას გადასცემს შესასწავლებლად.

შეერთებული შტატები. ამ ჟამად პრეზიდენტი რუზველტი შტატებში მოგზაურობს. პრეზიდენტი სცდილობს კაპიტალისტების დიდ ტრესტებს კონტროლი დაუწესოს. რუზველტმა თურმე ცუდად მოიხსენია განთქმული კაპიტალისტი პირპონტ მორგანი და რესპუბლიკელი დასის გავლენიანი მოღვაწე პლატი და სხვანი. ესენიც ყოველნაირად ეცადნენ, პრეზიდენტისათვის თავის განზრახვაზე ხელი აეღებინებინათ. ტკბილის რჩევით რომ ვერას გახდნენ, ეხლა მუქარისათვის მიუმართავთ. გაზ. „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ი სწერს: გავლენიანმა რესპუბლიკელებმა შეუთვალეს რუზველტს, თუ მაგ აგიტაციაზე ხელს არ აიღებთ, 1904 წელს პრეზიდენტის თანამდებობაზე აღარ აგირჩევთ ხელ მეორედაო. რუზველტს უპასუხნია: სამართლიანად ვიქცევი და ბოლომდეც არ მოვიშლი ასეთ ქცევასაო: მომავალ არჩევანზე ნამცეცადაც არა ვფიქრობო.

ბოლოს გაზეთი ამბობს: შტატ-ნიუ-იორკის კონვენტის კრებაზე დიდი პოლიტიკური შეტაკება მოხდება ნამდვილადაო; საქმე ისე გამწვავდა, რომ შეიძლება რესპუბლიკელთა დასში დიდი განხეთქილება ჩამოვარდესო.

გაზეთი ამბობს, ტრესტების მეთაურებმა აღარ აციან, როგორ დააყენონ პრეზიდენტი, ისე გაჯავრებულები არიან, რომ ლამის რუზველტის მოსაკლავად შეთქმულობა გამართონ.

რამ გააჯავრა ასე ტრესტების მეთაურები, განა რას ამბობს ისეთს რუზველტი და ისეთ რა საშინელებას უქადის ტრესტებს?

აი, მაგალითად, რა ულაპარაკნია პრეზიდენტს ქალ. ვილინგში:

„ჩვენ ნება გვაქვს თვალ-ყური ვადევნოთ და კონტროლი გავუწიოთ ტრესტებს, მაგრამ იმათი დაშლისა და მოსპობის უფლება კი არა გვაქვს. შეგვიძლიან ისეთი წესები დავაწესოთ ტრესტებისათვის, რომ სახელმწიფოს ვეღარა ავნონ-რა. ჩვენ გვრწამს ევოლიუცია და არა რევოლიუცია.“

ყოვლად ძლიერ ტრესტებს უბრალო კონტროლის დაწესებაც კი ისე სწყინთ, რომ ლამის პრეზიდენტი მოსაკლავად გაიმეტონ. სამაგიეროდ დემოკრატებს მაგდენად ჭკუაში არ მოსდით რუზველტის მოქმედება.

საშინელი ძალა და შეძლება ჰქონიათ ამ ტრესტებს და იმათთან ბრძოლაც ადვილი საქმე როდია. ამერიკის დემოკრატიულ კომიტეტს ამერიკის ეხლანდელი ტრესტების სია გამოუცხადებია. ამ სიაში სულ 287 ტრესტია მოქცეული. ამათ შეძლება ჰქონიათ სულ 6,972,448,851 დოლარისა ანუ ჩვენებურად 12,000,000,000 მანეთისა. თანაც ეს სია სრული როდი ყოფილა: აქ არაა თურმე მოქცეული ხორცისა და ნახშირის ტრესტები.

ახალი ამბავი

◆ კავკასიის **მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი** გუშინ საღამოს $8^1/_2$ საათს რკინის გზით გაემგზავრა დაღესტანისაკენ.

◆ როგორც გავიგეთ, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას გადაუწყვეტია ახლად გარდაცვალებულ დრამატურგის ავქსენტი **ცაგარლის ხსოვნის პატივსაცემლად** წელს სეზონი იმის ნაწარმოებით დაიწყონ. ჰფიქრობენ იმის ახალ პიესის „ცისარტყელის“ წარმოდგენას და „ცაგარლის საღამოს“ გამართვას.

◆ სოფ. ოძისში დაარსებულს სამეურნეო სკოლაში წელს **მხოლოდ ექვს კაცს მიიღებენ**, განსაკუთრებით გლეხებს, რომელთაც ჯერ პრაქტიკულად შეასწავლიან მეურნეობის საქმეს. სწავლება აქ მუქთად იქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, გამოსცა სახალხო-საპედაგოგიო ჟურნალი და სხვა. შიმშილობის დროს დამშეულ ხალხის გამოსაკვებად არც ერთ კერძო პირს იმდენი არ გაუკეთებია, რამდენიც ტოლსტოიმ გააკეთა. დასასრულ გაზეთი სწერს:

> დიდებულ მწერალს ეხლახან შეუსრულდა 74 წელიწადი. ამას წინად ძნელი ავადმყოფობა გამოიარა, მაგრამ ძალა და ღონე ჯერ კიდევ საკმაო აქვს. საჭიროა მხოლოდ მოუაროთ დიდებულ მოხუცს, მოუაროთ როგორც თვალის ჩინს—იგი ხომ ჩვენი სახელი, სიმდიდრე და სიამაყეა.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის საგანგებო კრება

3 სექტემბერს, დილის 11 საათზე, გუბერნიის მარშლის თავ. ს. ნ ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით, დაიწყო ქუთ. გუბერნიის თავად-აზნაურობის საგანგებო კრება. თავმჯდომარემ აუხსნა საზოგადოებას კრების საგანი და სთხოვა, წეს-რიგის დასაცველად, ვისაც რამ სათქმელი ჰქონდა კომისიის მიერ შემუშავებულ წესდების წინააღმდეგ, განეცხადებია სიაში ჩასაწერად.

გ. დ. ქორქაშვილი. არ შეიძლება, გავიგოთ, რით ხელმძღვანელობდა კომისია, როდესაც უპირატესობას სტიპენდიების დაარსებას აძლევდა?

თავმჯდომარე. კომისიას რამდენჯერმე ჰქონდა სხდომა და ძნელი სათქმელია, რით ხელმძღვანელობდა იგი. სხდომების ოქმები კომისიას არ უწერია.

თავ. კ. ნიჟარაძე. სტიპენდიების დაარსება ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებს ვერ იხსნის უსწავლელობისაგან. სასწავლებელთა უქონლობის გამო 300 ბავშვიდან მხოლოდ 20 იღებენ, დანარჩენნი შინა ბრუნდებიან. სასწავლებლის მთავრობა ეუბნება მშობლებს, თქვენის ხარჯით იქირავეთ შენობა, მასწავლებლები და ჩვენც მფარველობას გაგიწევთო. მდიდრები ახერხებენ ამას, მაგრამ ღარიბებს სად შეუძლიანთ? 1898 წელს უმაღლესმა მთავრობამ შემწეობა აღუთქვა თავათ-აზნაურობას: თქვენ ამოარჩიეთ ისეთი სასწავლებელი, რომელიც უფრო გეჭირვებათ, სახლს ჩვენ დაგიდგამთ და ნახევარ ხარჯსაც ჩვენ ვიკისრებთო. ვისარგებლოთ ამ შემთხვევით და დავიარსოთ გიმნაზია. ვინც ამ გიმნაზიას გაათავებს, უმაღლეს სასწავლებელშიაც მოახერხებს წასვლას, და კიდეც რომ ვერ მოახერხოს, საშუალო სწავლა მაინც ექმნება მიღებული.

ს. დ. ჯაფარიძე. 20,000 მანეთი ღარიბ-თავად-აზნაურობისათვის სახუმარი საქმე არ არის; ამიტომ საჭირო იყო, რომ თავად-აზნაურთა მეტი რიცხვი დასწრებოდა კრებას. დღეს კი აქ თითქმის მხოლოდ ქალაქში მცხოვრებ თავად-აზნაურთ ვხედავთ: ძლიერ უხერხულია, რომ სამშაბათს, ისიც დილას, დანიშნულია კრება. საჭიროა, რომ ეს საქმე მაისის მორიგ კრებამდის გადაიდოს, რომ სოფლელთა მეტი რიცხვი დაესწროს.

დ. გ. წულუკიძე. საჭირო არაა გადადება. თუ კრებას თავად-აზნაურობის ცოტა რიცხვი დაესწრო, აიხსნება ჩვენი ინდეფერენტიზმით, საქმისადმი გულცივობით და არა იმით, რომ კრება სამ სექტემბერს მოხდა. იტყვიან, თუ კაცს სურვილი აქვს გამორკვეული, საქმე ნახევრად გაკეთებულიაო. ამიტომ საჭიროა გულდასმით გამოვიკვლიოთ საქმე, გავიგოთ, რომელს მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიან, სკოლას თუ სტიპენდიებს. რა შეიძლება ითქვას საშუალო სასწავლებლის წინააღმდეგ? ერთი ის, რომ სათავად-აზნაურო გიმნაზიას არ ექნება ის ხასიათი, რომელიც ჩვენთვის სასურველია, მეორე რომ გიმნაზიაში კურს-დამთავრებულნი ყველანი ვერ წავლენ უმაღლეს სასწავლებელში. ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება ეს ფული მოხმარდეს სტიპენდიების დაარსებას უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში. სპეციალური ცოდნით აღჭურვილი ორი არ მოიძებნება. ამის მიზეზია, რომ ძლიერ სჭირს სპეციალურ სასწავლებლებში შესვლა: ხარჯიც მეტი სჭირდება, ცოდნაც მეტი უნდა; მოკლებულია ამას ჩვენი ახალგაზდობა, ვერცაბედავენ იქ წასვლას. ამას ეროვნული თავმოყვარეობაც ზედ დაერთვის. ბატონებო, სირცხვილია, რომ ორი კაცი არა გვყავდეს სპეციალურ სწავლა-განათლებით აღჭურვილი! ყოველ შემთხვევაში, თუ ტფილისის გუბერნიამ სასწავლებელი დააარსა, ჩვენ უსათუოდ სტიპენდიებს უნდა მოვახმაროთ ეს ფული.

(შემდეგი იქნება)

ქუთაისის ქალაქის საბჭო

2 სექტემბერს, საღამოს 9 საათზე, ქალაქის მოურავის დ. ა. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით გაიხსნა კანიკულების შემდეგ საბჭოს პირველი მორიგი სხდომა, რომელსაც დაესწრო 27 ხმოსანი. განსახილველად დანიშნული იყო 19 საქმე, მაგრამ თითქმის ყველა ისეთი უსიცოცხლო, რომ ჩვენი პატივცემულ ხმოსნების ერთს ნახევარს თითქმის სულ ეძინა და მხოლოდ კენჭების ხშირს რახა-რუხზე იღვიძებდნენ. ბევრმა შინისკენაც მოჰქუსლა, ასე რომ ორი-სამი საქმის განხილვის შემდეგ დარბაზში მხოლოდ 18 ხმოსანი დარჩა, და ისიც ქალაქის მოურავის წყალობით, რომელიც თითქმის ემუდარებოდა ხმოსნებს, ცოტა მოითმინეთო.

წინა სხდომების 7 ოქმის წაკითხვისა და დამტკიცების შემდეგ ხმოსანი დ. ნ. აბდუშელიშვილი შეეკითხა თავმჯდომარეს, რა მდგომარეობაშია ჩვენი შუამდგომლობა ქუთაისზე რკინის გზის გაყვანის შესახებო. თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობამ უყურადღებოდ დასტოვა ქალაქის შუამდგომლობა იმ მოსაზრებით, რომ ქუთაისზე რკინის გზის გაყვანა მთავრობისათვის საზარალო იქნებაო. ამასთან მოახსენა საბჭოს, რომ ამ საქმისთვის არჩეული კომისია ამ თვეში დაამთავრებს ცნობების შეკრებას, რომ უმაღლესს მთავრობას წარუდგინოს.

ამ დღისათვის დანიშნულს კითხვებში ასე თუ ისე საყურადღებო იყო შემდეგი: ა) ვინმე კარტეროპულო სთხოვს ქალაქს 2800 მანეთს გაგარინის ქუჩის შეკეთებისთვის. კარტეროპულოს ზედმეტი გაუკეთებია ქუჩა ქალაქთან პირობის შეუკვრელად. კომისიას ეს ზედ მეტი ნამუშევარი შეუმოწმებია და 2120 მანეთის საღირლად უცვნია. გამგეობა იმ აზრისაა, რომ თხოვნა შეწყნარებულ იქმნეს. საბჭომ მიიღო გამგეობის მოხსენება, მხოლოდ გ. ი. ჭილაძემ შენიშნა გამგეობას კარტეროპულოსთან პირობის შეუკვრელობა; ბ) ქუთაისის პოლიცმეისტერი თხოულობს, რომ მეეტლეებისთვის სავალდებულო დადგენილებათა ზოგიერთი მუხლი შეცვლილ იქმნეს. გამგეობაც ეთანხმება პოლიცმეისტერს, და მართლაც საჭიროა, რომ ქუთათური მეეტლეების თავგასულობა ცოტათი აილაგმოს. კითხულობენ ძველს სავალდებულო დადგენილებას. უყურეს, უყურეს ხმოსნებმა, მოსწყინდათ და ზ. კ. მაჭავარიანის წინადადებით საქმე გადიდვა შემდეგი სხდომისთვის, რომ ხმოსნები ცალ ცალკე გაეცნონ ამ საქმეს.

გ) საკმაოდ დიდი კამათი გამოიწვია ბ. პოლიცმეისტრისავე წინადადებამ მეაბანოვებისთვის სავალდებულო დადგენილებათა შემოღების შესახებ. ბ-ნი პოლიცმეისტერი ამბობს თავისს მოხსენებაში, აბანოები ძლიერ უსუფთაოდ ინახება და ათასგვარ ავადმყოფობას ავრცელებს ქალაქშიო. ის საჭიროდ სცნობს, რომ აბანოებში თეთრეული ყოველ დღეს ირეცხებოდეს, იატაკები და აბანოს მოწყობილობა სუფთად ინახებოდეს, მოსამსახურეები (მექისეები) ყოველ კვირაში შემოწმებულ იქმნენ ექიმებისგან, რომ რამე გადამდებ სენით არ იყვნენ შეპყრობილნი და სხ. საბჭომ, თანახმად გამგეობის მოხსენებისა, მიიღო წინადადება ცოტა შეცვლით.

დ) ბ-ნის პოლიცმეისტრის წინადადება, რომ ქუთაისში შემოღებულ იქმნეს სავალდებულო დადგენილებანი ბინების პატრონებისთვის ისე, როგორც პეტერბურგშია, გამგეობის მოხსენების თანახმად არ იყო მიღებული.

ე) იმერეთის ეპისკოპოსის თხოვნა, რომ ქალაქს დაეთმო საფიჩხიის ეკლესიისთვის საქალაქო ადგილი, ღირებული 3000 მანეთამდის, ხმოსნების საჭირო რიცხვის დაუსწრებლობის გამო გადადებულ იქმნა.

ზ) წინადადება, რომ ქალაქის პოლიციის დაბალ მოსამსახურეებისთვის ჯამაგირი მოემატებია (თვიური 12 მ. 50 კ. ნაცვლად 25 მან.), რაც ყოველწლიურად 8220 მ. შეადგენდა, საბჭომ გამგეობის მოხსენების თანახმად არ მიიღო.

შემდეგ შეიქმნა კენჭების რახა-რუხი. შეწყნარებულ იქმნა ამას წინად ტყვიით დაჭრილის არტისტის ბ-ნ ჩარკვიანის თხოვნა, რომ ქალაქს უსასყიდლოდ დაეთმო მისთვის თეატრი ერთი წარმოდგენისთვის (12 თ.—9 შ.); კენჭი უყარეს ცეცხლისაგან დამხღვევ საზოგადოების ამას წინედ ერთხმად არჩეულ მოსამსახურე პირთ, რომელნიც ბ-ნს გუბერნატორს არ დაუმტკიცებია მხოლოდ მისთვის, რომ დახურულ კენჭის ყრით არ იყვნენ არჩეულნი. აირჩიეს ისევ ძველები: თავმჯდომარედ—მ. ა. ქიქოძე (20 თ.—3 შ.); მის ამხანაგად—თავ. ს. ნ: ლორთქიფანიძე (22 თ.—1 შ.) და სარევიზიო კომისიის წევრებად—ი. პ. ჯაიანი (22 თ.—1 შ.) შემდეგ დახურული კენჭის ყრით არჩეულ იქმნა სარევიზიო კომისიის წევრები ქალაქის 1901 წლის მოქმედების შესამოწმებლად: დ. ა. ნაზაროვი (18 თ.—), ი. მ. ჩიქოვანი (18 თ.—); ს. ნ. დათეშიძე (17 თ.—1 შ.)

დასასრულ ცოტაოდენი კამათი გამოიწვია ყასბების საჩივარმა ნიხრის მომატების შესახებ. ისინი ემუქრებოდნენ საბჭოს, თუ ნიხრისთვის ამ მოგიმატებიათ, საქონელს არ დავკლავთ და ქალაქს შიმშილით ამოვწყვეტთო. ამ მუქარის ბრალი იყო, თუ ზოგიერთ ხმოსნებთან შინაურულად მოლაპარაკებისა, 19 აგვისტოს დაკლებულ ნიხრს დღეს ისევ მოუმატეს: პირველი ხარისხის ხორცი გაიყიდება გირვანქა 10 კაპ., მეორესი—9 კაპ.

ლონ-ვალიანი

თეატრი

ოთხშაბათს, 4 სექტემბერს სახალხო თეატრში ქართულმა სექციამ გამოსაცდელი წარმოდგენა გამართა იმათთვის, ვინც სახალხო წარმოდგენებში ახლად მონაწილეობის მიღებას აპირობს. წარმოდგენილ იქმნა ალ. ყაზბეგის დრამის „არსენა"-დან მე-2 მოქმედება, ავქ. ცაგარლის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ"-ის მე-2 მოქმედება და მე-3 მოქმედება „მათიკო"-დან.

კერძოდ თვითეულს მოთამაშეზე არას ვიტყვით, რადგან ერთს წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებით ძნელია ამა თუ იმ კაცის ნიჭისა და სასცენო უნარის დაფასება. ამ საღამოს წარმოდგენაში ოცმა კაცმა მიიღო მონაწილეობა და შესაძლებელია კარგის ხელმძღვანელის მეოხებით ამ ოციდან უმრავლესობა გამოსადეგი და სასარგებლო შეიქნეს სახალხო სცენისათვის. ამიტომ სექციას ვურჩევთ ამ ერთის წარმოდგენით ნუ იხელმძღვანელებს და ნუ ამოარჩევს „ნიჭიერებს" და „უნიჭოებს", რადგანაც ამის გაგება ერთად ერთის წარმოდგენით, გიმეორებთ, მეტად ძნელია. მისცეს მათ თავისუფლება და მთელი რიგი სახალხო წარმოდგენებისა თვით აღმოაჩენს გამოსადეგ და საუკეთესო სცენის მოყვარეთ.

ქ. თელავი. როგორც ქართ. გაზეთების მკითხველთ ეხსომებათ, ამ ზაფხულს შესდგა თელავში სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც მართავდა იაფ-ფასიან სახალხო წარმოდგენებს და რომელიც ყოველთვის დიდ ხალხს იზიდავდა. აქამომდე დასახელებული წრე კერძოდ ჰმართავდა წარმოდგენებს, დამოუკიდებელ ამხანაგობას შეადგენდა, არა ჰქონდა არავითარი წესდება და გამგეობა, ისე რომ შესაძლებელი იყო ერთ მშვენიერ დღეს საქმეს ბოლო მოჰღებოდა. ამისათვის სცენის მოყვარეთ და თელავის საზოგადოებამ მოინდომეს, მკვიდრი საფუძველი დაედოთ ამ საქმისათვის; მოახდინეს კრება, საიდამაც დაიწყო დასაბამი სახალხო თეატრის დაარსებისა. პირველ კრებაზე ტფილისის სახალხო თეატრის წევრმა ბ. სოლოღაშვილმა გააცნო საზოგადოებას ტფილისში არსებული ასეთი საზოგადოება და მისი მოქმედება. კრებამ, ბევრის სჯა-ბაასის შემდეგ, ამოარჩია კომისია 7 კაცისაგან და იმას მიანდო წესდების შედგენა.

მეორე კრებაზე განიხილეს წესდება, ცოტაოდენ ცვლილების შემდეგ მოიწონეს იგი და გადასწყვიტეს, წარედგინათ დასამტკიცებლად გუბერნატორისათვის. ამავე კრებაზე, წესდების მე-3 მუხლის ძალით, ამოარჩიეს გამგეობა 9 კაცისაგან, რომელმაც უნდა განაგოს თეატრის საქმე: დაიქირაოს შენობა, ჰმართოს წარმოდგენები, კონცერტები, კითხვები და სხვ. უმთავრეს საგნად ის იქმნება, რომ დაბალ ხალხს სულიერი საზრდო მიაწოდოს. ამას გარდა, გამგეობას ნება აქვს, მახლობელ სოფლებშიაც გამართოს ასეთივე წარმოდგენები. გამგეობამ უნდა იქონიოს დავთარი, სადაც ჩაიწერება ყოველივე. ყოველ წლის ბოლოს ანგარიში უნდა გამოაცხადოს ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთში; გამგეობა მოვალეა ყოველ წლის თავზე კრებას წარუდგინოს თავისი მოქმედების ანგარიში და სტატისტიკა წარმოდგენების რიცხვისა, რა პიესები იყო დადგმული და რამდენი კაცი ესწრებოდა. კრებაზედვე ამოარჩიეს 3 კაცი სარევიზიო კომისიის წევრებად.

ამორჩეულმა გამგეობამ აქედამვე დაიწყო მოქმედება. 27 აგვისტოს მოახდინეს კრება, რომელსაც დაესწრო 7 წევრი და რომელთაც უპირველეს ყოვლისა თეატრის დაქირავებაზე ჰქონდათ ბაასი. მათთვის ხელ-საყრელათ მარტოდ მარტო სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოების თეატრია. მაგრამ იგი შეკეთებას ჰსაჭიროებს. ამისათვის ერთხმად გადასწყვიტეს, შეაკეთებინონ თეატრი და დაიქირავონ, რაც შეიძლება, ნაკლებ ფასად, რადგან გამგეობას არავითარი თანხა არა აქვს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისინი, რომელთაც აბარიათ თეატრი, ნაკლებ ფასად დაუთმობენ, მით უმეტეს, რომ ყველა მოვალეა დაეხმაროს და ხელი შეუწყოს ისეთ სასარგებლო საქმეს, როგორც სახალხო თეატრია.

დიმიტრაშვილი

წერილი სამურზაყანოდან

ახალი რკინის გზა შავი ზღვის პირად

შავი ზღვის პირად რკინის გზის გაყვანა მეტად დიდ სარგებლობას მოუტანს ქუთაისის გუბერნიას, თუ იგი გზა გაყვანილ იქმნა ხალხის საჭიროებისა და სურვილის თანახმად. მაშინ სოხუმის ოლქი, ეს მდიდარი ნაწილი ჩვენის ქვეყნისა, ადვილად შესძლებს მიაწოდოს იაფ-ფასად სასოფლო სამეურნეო ნაწარმოები იმათ, რომელნიც მოუსავლობით და მიწის სიცოტავის გამო ხშირად გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარდებიან.

სამწუხაროდ, ზოგიერთნი ხალხის საჭიროებასა და სურვილს არავითარ ყურადღებას არ აქცე-

---

როდესაც უცხო მხარეში მოჰხვდება კაცი, ძალა-უნებურად უკვირდება ადგილობრივ მცხოვრებთა ზნე ჩვეულებას, ხასიათს, მდგომარეობას; თვით წვრილმანიც კი იქცევს შენს ყურადღებას და გაკვირვებს პირველ ხანებში მაინც. სხვათა შორის, ჟენევაში ახლად ჩამოსულის ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ვერსად მათხოვარს ვერ შენიშნავ. კაცი პირველ ხანს უეჭველად იფიქრებს, ვნახე მხარე, სადაც ისე თვალსაჩინოდ არ მძვინვარებს გაჭირვება, როგორც ჩვენშიო. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებაა. როდესაც ცხოვრებას ახლო დაუკვირდებით, აზრი გეცვლებათ და სულ სხვა სურათი გეშლებათ თვალ-წინ.

მართალია, აქ ისე მალი-მალ ვერა ჰხედავთ მათხოვარას, როგორც ჩვენს ქალაქებში, სადაც ყოველ ფეხის გადადგმაზე მათხოვარის გულის შემზარავი თხოვნა გესმის, მაგრამ აქ სულ სხვანაირ ფორმაში იხატება ასეთივე შემაძრწუნებელი თხოვნა. შეჰხვდებით ყოველ სახლის მახლობლად, ყავა-ხანების წინ, ქუჩებსა და ბაღებში მომღერალს, მემუსიკეს ან კიდევ წვრილმან ნივთების გამყიდავს. ეს საცოდავები მთელი დღე დადიან სახლიდან სახლში, ქუჩიდან ქუჩაში, რათა ამ გზით რამდენიმე სანტიმი მოაგროვონ და ღდიურად ლუკმა მოიპოვონ. თუ პირდაპირ არა მთხოვრობენ, მხოლოდ იმიტომ, რომ იმათ ადგილობრივ მთავრობისაგან სასტიკად აქვსთ აღკრძალული მოწყალების თხოვა. ამიტომაც არის ჟენევის ქუჩები და მოედნები მემუსიკეებით სავსე. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა ისინი ხელოვნურად უკრავენ და მღერიან. ზოგს მეტად სასიამოვნო ხმა აქვს, მაგრამ ასეთი მომღერალი სიამოვნებას როგორ გაგრძნობინებთ, როდესაც იმის სიმღერაში კვნესა-ვაება გაისმის.

თუ ქუთაისელ და ფოთელ ნოქრებს კარჩაკეტილ მაღაზიებში ამუშავებენ კვირე-უქმე დღეებში, ჟენეველ ნოქრებს არც კარ-ღია მაღაზიებში აქვთ მეტი თავისუფლება. იმათთვის საქმის დღე და უქმე ერთია. უქმეში შუადღის 12 საათამდის მაღაზიებში ატარებენ, მაშინ, როდესაც იმათი ბატონები ლუდს შეექცევიან ყავა-ხანებში და შემდეგ სეირნობითა და მუსიკით სტკბებიან წმინდა ჰაერზე. მუშათა ორგანიზაციები ბევრს ეცადნენ, კვირა დღეს გაენთავისუფლებინათ ნოქრები, მაგრამ ვერას გახდნენ. იმათი მოწოდებანი, განცხადებანი, კრებები, თხოვნა ხალხისადმი, რომ კვირა დღეს ნურაფერს იყიდითო, დარჩა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა".

ღორეშელი ქალი

ნება და ყოველ მოსწავლეს, ამას გარდა, მისცემენ იმდენ ფულს, რომ თავი გამოიკვებოს და ტანსაცმელი შეიძინოს. მომავალში სკოლას გააფართოვებენ, რა თქმა უნდა.

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ 1899 წელს ტფილისის ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა, გადასახადი დაადვას იმსოფლელთ, რომელთაც **ხილის ნაწარმოები** ქალაქში შემოაქვთ გასასყიდათ. გუბერნატორმა ეს გადაწყვეტილება არ დაამტკიცა, ხოლო ქალაქის საქმეთა საკრებულომ უყურადღებოდ დასტოვა. საბჭომ საქმე სენატში გადაიტანა, მაგრამ იმანაც უყურადღებოდ დასტოვა. გუშინ, 5 სექტემბერს, გუბერნატორმა გაუგზავნა ქალაქის გამგეობას ამ საქმის გამო სენატის გადაწყვეტილების პირი.

✦ გუშინ, 5 სექტემბერს, საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ გაუგზავნა მაზრის ექიმებს სამკურნალო დეპარტამენტის მიერ შემუშავებული **შავ-ჭირსა და ხოლერასთან** საბრძოლველი დარიგებანი. სამკურნალო გამგეობა ავალებს მაზრის ექიმებს იხელმძღვანელონ ამ დარიგებებით.

✦ ჩვენი **რკინის გზების უფროსის მესამე თანაშემწედ** იმ დროისთვის, როცა უფროსი აქ არ იქნება, დანიშნულია მატერიალურ ნაწილის უფროსი ინჟენერი ა. მ. ლინჩევსკი.

✦ ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა **საკრებულომ დაამტკიცა** ქალაქის მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა.

✦ ტფილისის მაზრის უფროსმა თავ. ლ. ჯანდიერმა მიწერილობანი დაუგზავნა ტფილისის მაზრის სოფლის საზოგადოებათა მამასახლისებს. მაზრის უფროსმა მოითხოვა ცნობები იმის შესახებ, საზოგადოებათა **პურის მაღაზიებიდან** ვინ რამდენი ხორბალი წაიღო გუბერნატორის ნებართვით სესხად, რამდენი ფული შეიკრიბა ამ სესხის გასასტუმრებლად და რამდენი დარჩა გადასახდელი. მაზრის უფროსი სწერს მამასახლისებს, დაავალონ მცხოვრებთ, რომ სესხად აღებული პური უსათუოდ ფულად გადაიხადონ. მამასახლისებს დაევალათ აგრეთვე, შეუდგნენ მაღაზიებისათვის ყოველ წლიურ გარდასახადის მოკრებას. ვისაც 30 კაპ. გარდახდა არა ჰსურს, იმან 20 გირვანქა ხორბალი უნდა გადაიხადოს.

✦ **ახირებული სათხოვარი** მიუტანიათ ქალაქის გამგეობისათვის დუშეთის ქუჩის მცხოვრებლებს ქალაქის პირველ უბნიდან: რადგან ჩვენი ქუჩა, ქუჩას კი არა, უფრო ხევს წარმოადგენს და არც განათებულია, გთხოვთ ქუჩის სახელი მოუსპოთ და ხევი დაარქვათო.

✦ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებული კავკასიაში **ბ-ნი მედვედევი ბორჯომიდან ტფილისს დაბრუნდა.**

✦ **ბოტანიკურ ბაღთან არსებობს სკოლა**, სადაც პრაქტიკულად ასწავლიან მებაღეობას ორის წლის განმავლობაში. 13 მოსწავლეა აქ ამ ჟამად, განსაკუთრებით გლეხები. მომავალ თვეში პირველად დასრულებს აქ პრაქტიკულ სწავლას ხუთი კაცი, რომელთაგან სამი იმერელია. ყველას მიენიჭება სახელი ბაღის მუშისა. რადგანაც ხილის მოვლისა და მებოსტნეობის სწავლებაც უნდა შემოიღონ, მთავრობას განუზრახავს ორის მაგიერ სამი წელიწადი გაჰხადონ სწავლის ვადა. ბოტანიკურ ბაღის გამგეობას ეხვეწებიან თურმე, გამოგვიგზავნეთ თქვენს სკოლაში ნასწავლი მუშებიო.

✦ ხმ. ნ. ი. **თამამშევს ქაღალდი მიუცია გამგეობისათვის** და აცხადებს, თქვენი განკარგულება შესახებ იმისა, რომ ამომრჩეველთ ნოტარიუსის წესით დამტკიცებული ვექილობა წარმოადგინონ არჩევნების დღეს—უკანონოდ მიმაჩნიაო. ბ-ნი თამამშევი ამტკიცებს, რომ ამ წესით მეტად შევიწროვდებიან ამომრჩევლები, განსაკუთრებით ხელმოკლენი, და ამორჩევისაკენ გზა შეეკვრებათო. გამგეობა უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება, ბევრმა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა, მაშინ როდესაც გამგეობის მოთხოვნილება ამას ხელს უშლისო. ბ-ნ თამამშევს უანგარიშნია და გამოსულა, რომ მარტო 1-ლ საარჩევნო ნაწილში მცხოვრებლებმა გამგეობის მოთხოვნილება აასრულოს, ნოტარიუსის ხარჯი 250 თუმანზე მეტი შესდგებაო. ამით ჰსარგებლობენ თურმე ქალაქის საქმეებზე გაბატონებული „დვარც. პარტია", რომელიც ყოველ გვარ ღონესა ჰხმარობს, კიდევ შეირჩინოს თავისი ბატონობა ქალაქის საქმეებში. რადგან ასეთი მოთხოვნილება გამგეობისა ეწინააღმდეგება „საქალაქო დებულების" ძირითად მოთხოვნილებასა და თვით მცხოვრებლების ინტერესებსაც, ბ-ნი თამამშევი სთხოვს გამგეობას—ეს საკითხი გამგეობის ყველა წევრთა თანადასწრებით გადაწყდესო. ამისთანა სათხოვარი ქალაქის საქმეთა საკრებულოსაც მიართვა ბ-ნმა თამამშევმა და ითხოვს ვექილობა თვით გამგეობამ შეამოწმოსო.

✦ ოთხშაბათს, 4 სექტემბერს, სადამოს 5 საათზე, ნავთლუღში თავისავე ბაღში მოჰკლეს ტფილისის მცხოვრები დავით ოქრუევი. ოქრუევს თავის ბაღში წაუყვანია სახლობა და ნავთლუღში მცხოვრების სარქისოვის მეუღლე სატიგინი, რომელიც ოქრუევთან დაახლოვებული ყოფილა. ბაღში, ასე 5 საათზე, ოქრუევს სტიგინი წაუყვანია ბაღის ბოლოში, სადაც მარტონი დარჩენილან. ამავე დროს სარქისოვი მისულა სახლში, რაკი ცოლი შინ არ დახვედრია, ეჭვი აუღია და გაქანებულა იმის მოსაძებნად. კარგა ხანს ძებნის შემდეგ შეუტყვია, რომ სტიგინი ოქრუევის ბაღში ყოფილა. წასულა ბაღში და, უნახავს რა ერთად თავისი ცოლი და ოქრუევი, უძვრია ფინური დანა და ცოლისაკენ მიწევულა მოსაკლავად. სარქისოვს ოქრუევი გადაღობებია, ამიტომ დანა იმისთვის ჩაუცია მუცელსა და გულში და იქვე მოუკლავს. შემდეგ სარქისოვი ცოლს გამოჰკიდებია, მაგრამ ხალხს ქალი გადაურჩენია. სარქისოვი დაუპატიმრებიათ.

✦ როგორც გვატყობინებენ, ტფილისის მაზრის სოფელ გომბორში საქონლის ჭირი გაჩენილა.

✦ 31 აგვისტოს ყაზახის მაზრის საზღვარზე სოფელ ვასილიევკას მცხოვრებს სიმონ უშაკოვს თავს დასცემია 4 შეიარაღებული თათარი და ოთხი უღელი ხარი წაურთმევია.

✦ ქალაქის გადამდებ სენით სამკურნალოებში უკანასკნელ კვირის განმავლობაში არც ერთი გადამდები სენით ავადმყოფი არა ყოფილა. საავადმყოფოებში 28 თავისუფალი ადგილია.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ სამხედრო ბეგრის მოსახდელად 1881 წელს დაბადებულთ გაიწვევენ წელს. იმისათვის დანიშნულია შემდეგი: ბაღდადის საბოქაულოში კენჭის ამოღება დაიწყება 15 ოქტომბერს, გასტანს 21 ოქტომბრამდე; სამტრედიის საბოქაულოში—22 დან 26-მდე; ხონის საბოქაულოში—27-დან 31 ოქტომბრამდე; ქუთაისის საბოქაულოში 1-დან 5 ნოემბრამდე; ტყიბულის საბოქაულოში—6-დან 11 ნოემბრამდე; ქალაქ ქუთაისში და ამ ქალაქზე მოწერილ სოფლების მცხოვრებნი კენჭს ამოიღებენ 12-დან 15 ნოემბრამდე.

✦ ბალახვანის ქუჩის ბოლოზე, ქალთა საეპარქიო სასწავლებლის პირ-და-პირ, რიონის მარცხენა ნაპირს მდინარე რიონი წელიწადში ორჯელ მაინც ანადგურებს. ადიდებული რიონი გადმოივლის, აოხრებს და წალეკავს ხოლმე აქ მცხოვრებთა კარ-მიდამოებს, რომელთა ცხოველები და ფრინველები გადმოვლილ წყალს მიაქვს.

ამ უბნის მცხოვრებთ არა ერთხელ და ორჯელ მიუმართავთ ქალაქისათვის წერილობით თუ პირადად, უთხოვნიათ ინჟენერი გამოეგზავნა და გაესინჯა ის ადგილი, საიდანაც ადიდებული რიონი გადმოდის და მცხოვრებლებს ანადგურებს, მიეცათ გეგმა და თავისის ხარჯით დამბის გაკეთებაც იკისრეს, მაგრამ აქამდე არ ეღირსა ამ წადილის ასრულება გაჭირვებული ხალხს; უგეგმოთ კი დამბის გაკეთება ვერ გაუბედნიათ და ამიტომაც საჭიროა ქალაქის დახმარება ამ საქმეში. ქალაქის მოურავი შეპირებულია ამ საქმეში დახმარებას და მცხოვრებლებიც მოელიან ქალაქის ინჟენერს მდინარის ნაპირის დასათვალიერებლად და მომავალის დამბის ასაგებ ხარჯის გამოსაანგარიშებლად.

✦ ქუთაისის სასწავლებლებში-ქალთა თუ ვაჟთა—უმეტეს 2 სექტემბერს პარაკლისები გარდაიხადეს და მეორე დღიდან სწავლა დაიწყეს.

✦ 2 სექტემბერს სამწუხარო შემთხვევა მოხდა არქიელის გორაზე: ხახულია ჯეჯელავა ვარდანაშვილის ეზოში კაკალს ბერტყავდა; ხის ტოტი მოგლეჯილა და საბრალო ჯეჯელავა ისე მძიმედ დავარდნილა ვებერთელა ხიდან ჩამოვარდნილი, რომ სამი საათის შემდეგ სულიც განუტევა. ამბობენ, წვრილ-შვილი დარჩაო საბრალოს.

რუსეთის ქრონიკა

✦ პეტერბურგში, როგორც „თეატრი და ისკ."-ო გადმოგვცემს, განუზრახავთ არტისტთა, კრიტიკოსთა და დრამატურგთა საზოგადოების დაარსება.

✦ რკინის გზათა მთავარმა გამგეობამ გადასწყვიტა შეამციროს ის ხარჯი, რომელიც გაზეთებში რკინის გზის განცხადებების დაბეჭდვას უნდება. ვიდრე ამ საქმის შესახებ ახალ დებულებას შეიმუშავებს მთავრობა, გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რკინის გზებმა თავიანთი განცხადებები იჯარების შესახებ მოათავსონ ხოლმე მხოლოდ შემდეგ გაზეთებში: ადგილობრივ „გუბ. ვედ."-სა, „პეტ. და მოსკ. ვედომ."-სა, „ტორგოვო-პრომ. გაზეთ"-სა და ორ ისეთ გაზეთში, რომელიც უფრო გავრცელებულია.

✦ მთავრობას აზრადა აქვს, დაარსოს ორი უმაღლესი ხატების სამხატვრო სასწავლებელი, ერთი პეტერბურგსა, ხოლო მეორე მოსკოვში.

✦ ამას წინად ნიკოლოოზის რკინის გზას (პეტერბურგსა და მოსკოვს შუა) არსებობის 50 წელიწადი შეუსრულდა. ამ დღის აღსანიშნავად მოსამსახურეებმა აიყვანეს აღსაზრდელად ერთი მიგდებული ბავშვი, რომელსაც დაარქვეს ლიუდმილა იოსების ასული ნიკოლაევსკაია.

პრესსა

მკითხველებმა უკვე იციან, რომ 31 აგვისტოს 50 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც შესანიშნავ მწერლის და საზოგადო მოღვაწის ლ. ტოლსტოის პირველი მოთხრობა დაიბეჭდა. ამის გამო გაზეთებში ბევრი წერილებია მოთავსებული. რაღა თქმა უნდა, ყველანი (თვით „მოსკოვ. ვედო."-იც-კი) დიდად შეაქებენ ტოლსტოის შემოქმედებით ნიჭს. სხვათა შორის, „რუსკ. ვედ" სწერს:

> იშვიათი მაგალითია, რომ კაცს სამწერლო-სალიტერატურო ასპარეზზედ 50 წელიწადი ისე მხნედ და ნაყოფიერად ემოღვაწნოს, როგორც ტოლსტოიმ იმოღვაწა. ესოდენ დიად ნაწარმოებთა შექმნა და საყოველთაო, საკაცობრიო საკითხების აღძვრა მხოლოდ ტოლსტოისთანა ძლიერის ნიჭით და შემოქმედების შარავანდედით მოსილ კაცს შეეძლო. ნიჭიერი ბელეტრისტი თან-და-თან დიდებულ მხატვრად გადაიქცა, აფიცრად და მებატონედ ყოფილი მსოფლიო ფილოსოფოსი შეიქმნა. ტოლსტოიმ მთელის განათლებულის კაცობრიობის ყურადღება მიიპყრო სიმართლის კვლევა-ძიებითა და ახალ-ახალ საკითხების აღძვრით. დაიწყო რა სალიტერატურო მოღვაწეობა ყმაწვილობის მოგონებებით, მხატვარი ბოლოს და ბოლოს დიად ისტორიულ მოვლენათა გამოკვლევასა და საზოგადოებრივ ცხოვრების ანალიზს შეუდგა. ხანგრძლივის დაკვირვებისა და კვლევა-ძიების შემდეგ, ტოლსტოი გადაიქცა დიდებულ მხატვარ-ბრძენად, რომლის ღრმა-აზროვანი სიტყვაც ევროპასა და ამერიკასა, ინდოეთსა და იაპონიასა სწვდება. ერთნი უყოყმანოდ, ულაპარაკოდ იმისი მიმდევარნი ჰხდებიან, მეორენი—იმის აზრებით სცდილობენ აშფოთებულ სულის კვეთების დაწყნარებას. ყველანი ერთად-კი დიდის მოკრძალებით და პატივისცემით ეპყრობიან ამ დიდებულ კაცს, რომლის მაგვარსაც ამაოდ დაუწყებთ ძებნას ჩვენ დაკნინების და ქონდრის კაცობის დროს. ვუსურვებთ მრავალ წლის სიცოცხლეს დიად მხატვარსა და მოაზრეს!

მეორე გაზეთი „ნოვოსტი" სწერს, რომ ტოლსტოი შესანიშნავი მარტო თავის რომანებითა და სხვა ნაწარმოებით არ არის. ამ კაცმა ბევრი გააკეთა და იშრომა გლეხთა სწავლა-განათლებისათვისაც: დააარსა სკოლე-

ფელეტონი

წერილი ჟენევიდან

პატარა ამბები

ფრანგულ ენაში ვარჯიშობის მომდურავნი და მისი მიზეზი.—ხორცის სიძვირე. — მათხოვრების შეუმჩნევლობა.— ნოქრების ვარამი

ერთ რუსს ჰკითხეს: რა ჰქენი, ფრანგული ენა შეისწავლეო?—ფრანგულისა რა მოგახსენო და რუსულს კი უწინდელზე გაცილებით უკედ ვლაპარაკობო, უპასუხა იმან. ჟენევაში კაცი რუსულის სასწავლად უნდა ჩამოვიდესო, დაუმატა იმანვე. მართლაც და ისე ვერ დაელაპარაკები საზღვარ-გარედ მყოფ მოსწავლეს, რომ არ შემოგჩივლოს, ფრანგულ ენაში ვარჯიშობა სრულებით არა მაქვსო. ვიცი სიტყვები საკმაოდ, მასთან თეორიაც, მაგრამ უვარჯიშოდ ყოველივე ეს ფუჭიაო.

თუ დაუკვირდება ადამიანი, ეს ჩივილი სიმართლეა. ყოველ ფეხის გადადგმაზე კაცს რუსული ლაპარაკი გესმის: აუდიტორიებსა, ლაბორატორიებსა (მაგ. საქიმიო ლაბორატორიაში თვით ასისტენტი რუსია, რომელიც რუსულად ჰხსნის ანალიზებსაც კი), სახლსა, ქუჩებსა, ბაღებსა და სხვაგან; ერთის სიტყვით, ისეთ სადგომს ვერა ჰნახავთ, რომ რუსულის მოლაპარაკე არ იყოს იქ. ხოლო როცა რუსები ერთად შეიკრიბებიან, სხვა ენაზე ლაპარაკი შეუძლებელია. კარგი იყო ამ შემთხვევაში გერმანელებისთვის მიგვებაძა, რომელნიც ძალზე ამტვრევენ ფრანგულ ენას, მაგრამ მაინც ლაპარაკობენ ამ ენაზე და აღწევენ კიდეც მიზანს. ჩვენ ამდენი მოთმენა ვინ მოგვცა? ადგილობრივ სტუდენტობას უცხო-ქვეყნებიდან მოსულებთან არაფერი საერთო არა აქვს; იმათ განზე უჭირავთ თავი. თუ ჰკითხავთ რასმეს, მოკლედ გიპასუხებენ და იმასაც არა სიამოვნებით. რაც შეეხება დიასახლისებს, ოთახის დაქირავების დროს, გპირდებიან, ხან-და-ხან მაინც გელაპარაკებით ფრანგულადაო, მაგრამ დანაპირს იშვიათად ასრულებენ.

უმთავრესი მიზეზი ამისა ის არის, რომ ოთახებს უმეტეს ნაწილად მუშა ხალხი აქირავებს. დიასახლისები ან მკერავი ქალები არიან, ან მრეცხავი, ან მეპურე, ან მედუქნეები და სხვ., ასე რომ მთელ დღეს თავის საქმეს ანდომებენ და შენთან სალაპარაკოდ სად მოიცლიან! თუ მდიდარმა ვინმემ გააქირავა ოთახი, მაშინ ხომ დიასახლისი თვალითაც არ დაგენახვება, ხოლო მოსამსახურე ქალი, ძალიანაც რომ მოინდომოს იმასთან ლაპარაკი, არ გაჩერდება, რადგან დღეში 12—15 ოთახი აქვს დასაწმენდ-დასალაგებელი და აბა რა შენი ჯავრი აქვს!.. ამიტომ არის, რომ სტუდენტის სიხარულს საზღვარი არა აქვს, როდესაც სადმე მოხუც დიასახლისს წააწყდება. რომელსაც ცოტა მეტი ლაპარაკი უყვარს. სად არიან ჩვენი ქალები, მეტადრე ქუთათური ქალები. რამდენჯერ გვინატრია, ნეტა იმათი უნარი და ხალისი გაუთავებელ ლაპარაკისა აქაურ ქალებსაც ჰქონდეთო.

არა ნაკლებ უჩივის რუსის ახალგაზდობა ხორცის სიძვირეს ჟენევაში. ამას წინად სასადილოში მოვხვდით იმ რუსს სტუდენტებთან ერთად, რომელნიც საზღვარ-გარედ მოგზაურობდნენ. სადილის დროს ერთმა სერიოზულადა სთქვა: რომელ ერთს უნდა შეეჩვიოს და გაუძლოს კაცმა აქ: ენის შესწავლას, საგნების სწავლას თუ შიმშილსაო? მე, ცოტა არ იყოს, ამ სიტყვებზე გაკვირვებით შევხედე. იმან შემატყო და მკითხა: ნუ თუ თქვენ ყველა ამ კერძებს საჭმელადა სთვლით? ჩვენებური კაცი შეჩვეულია ბლომად ხორცეულს და კარგ საჭმელებს, აქ კი მეტწილად ხალხს ჰკვებავენ ბალახით, რომელსაც შეჩვევა უნდა. პატარა ხანს თუ კიდევ დავრჩით, შიმშილი მოგვკლავსო.

რასაკვირველია, ჩემი მოსაუბრე ცოტათი აჭარბებდა, მაგრამ იმისი სიტყვები არც სიმართლეს იყო მოკლებული. მე მგონია, არსად იმდენ მხალს, მწვანეულობას, ბრინჯს, მაკარონს, კარტოფილს, სტაფილოს, მუხუდოს, ლობიოს და სხ. არა ჰხმარობენ სადილ-ვახშმად, რამდენსაც ჟენევაში. ხორცს ძალიან ცოტას იძლევიან ყველგან, დანარჩენს კი, ეგრედ წოდებულს „legume"-ს, რომელიც ზემოდ ჩამოთვლილი სამარხო მცენარეებისაგან შესდგება და რომელსაც ხორცთან ერთად ჰამენ, ძალიან ბლომად. რა თქმა უნდა, ასეთი საჭმელები ორგანიზმისთვის უფრო მარგებელია, ვიდრე ცარიელი ხორცი, მაგრამ გადაჭარბებული არაფერი არ ვარგა! ხორცის სიცოტავე ხორცის სიძვირით აიხსნება. გირვანქა ხორცი პირველის ხარისხისა 1 ფ. 50 სან. ღირს; მეორესი—1 ფრ. 25 სან., ხოლო მესამესი—90 სან. შინაური ფრინველი ხომ მამა-სისხლადა ფასობს. მაგალითად, ერთი პატარა წიწილის ფასი 3—4 ფრანკამდე ადის. რა თქმა უნდა, ამისთანა სიძვირეში დიასახლისებს ხელს არ მისცემთ, ხორცი ბლომად მოიტანონ სუფრაზე. ჩვენ ქალაქებში პირველის ხარისხის ხორცი 10—11 კაპიკადა ყოფილა გირვანქა და კიდევ გაიძახიან, ძვირია, არიქა ნიხრს დაუკელითო. ჟენევასავით რომ 50—55 კაპ. ღირდეს გირვანქა, მაშინ არათუ ცოტა, მგონი, გემოთაც არ გაშინჯონ მანდაურებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენ და ისეთ მიმართულებას რჩეობენ, რომელიც დასახლებულ ადგილებს არც-კი ეხება. ამბობენ, რკინის გზის დიანდაგის გაყვანა უფრო ზღვის პირად აჯობებსო; იგი ფოთში უნდა შეუერთდეს სახელმწიფო რკინის გზასო. მერე რისთვის აჯობებს ამ მიმართულებით ახალის გზის გაყვანა? ნუთუ მარტო იმისათვის, რომ ქალაქ ფოთში ნავთ-სადგური გამართეს, ჭაობები დააშრეს, ქუჩები გასწმინდეს და გაალამაზეს?

ამ მიმართულებით გზამ ისეთი ადგილები უნდა გაიაროს, სადაც ადამიანის ჭაჭანი იშვიათად ისმის, მაშასადამე, აღარც წასაღებ-გადასაზიდავი ქნება. ხოლო თუ რამე იქმნა, ზღვა ახლოს არის და სიიაფის გამო ზღვით წაღებ-წამოღება ტვირთისა უფრო ხელსაყრელი იქნება ყველასათვის. სხვათრივაც არ არის სახეირო ზღვის პირად რკინის გზის გაყვანა. ზღვისკენ ნიადაგი ერთობ რბილია და ნაპირები მდინარეებისა მეტის-მეტად დაბალი; ამ მიზეზით ძალიან ხშირად მდინარეები კალაპოტებიდან ამოდიან და ჰლეკავენ მიდამოებს. აიღეთ ზუგდიდსა და სოხუმს შუა გაყვანილ გზა-ტკეცილის ხიდები. ჯერ რვა წელიწადი არც-კი გასულა და ეს რამდენჯერ გააკეთეს ხსენებული ხიდები; მდინარეებმა გზას აუხვიეს და ხიდები უსარგებლოდ დასტოვეს. მოიგონეთ მდინარე კილასური, კოდორი, ჯუუმური, მოკვილა, ღალიძგა, ოქუმის წყალი, ერთს წყალი და გიჟი ენგური. ვინ მოსთვლის, ეს მდინარეები ადიდების დროს რამდენ ზარალს აყენებენ მცხოვრებთ, როგორ აფუჭებენ გზებსა და ხიდებს! ყველა ამის გამო ახალის რკინის გზის გაყვანა სოხუმიდან ზღვის პირად ე. ი. დაბალ ადგილებში, სახიფათო და საზარალო იქნება.

სიმართლის მოყვარეობა გვაიძულებს ვსთქვათ, რომ უფრო სასარგებლოა განზრახული გზა დაუახლოვდეს, რამდენადაც მოსახერხებელი იქნება, მთის ნაპირებს, რითაც ზემოდ მოყვანილ დაბრკოლებას თავიდან აიცდენს და გზაც ისეთ ადგილებში გაივლის, სადაც დიდ-ძალი ხალხი სცხოვრობს. ახალ გზას დიდ-სარგებლობას მოუტანს მთის სიმდიდრე, მადნეული და ულეველი ხე-ტყე აფხაზეთისა, სამურზაყანოსა და სამეგრელოსი. გაყვანა მომავალის რკინის გზისა ზუგდიდსა, ხონსა და შემდეგ ქუთაისზე ხელს შეუწყობს აგრეთვე აფხაზეთს, სამურზაყანოს, სამეგრელოს და იმერეთის ერთ ნაწილის მცხოვრებთ, რომელთათვის ქუთაისი საადმინისტრაციო ქალაქია.

ვანო ოქუმელი.

დაბა-სოფლები

სვირი (იმერეთი). ისეთ სოფელს ვერა ჰნახავთ, რომ სამკითხველო არა ჰქონდეს ან, თუ არა აქვს, არ სცდილობდეს იმის დაარსებას. მხოლოდ ჩვენი სვირია ისეთი სოფელი, რომელიც ამგვარ საქმისათვის თავს არ იწუხებს. აქ ათას-ხუთას კომლზე მეტი სცხოვრობს და არ შეიძლება ერთი წიგნთ-საცავ-სამკითხველო დაარსდეს ვისმეს თაოსნობით? ალბად, მიზეზი ისაა, რომ მზრუნველი არავინ აღმოჩენია ამ საქმეს. აქ ნასწავლთა რიცხვი ცოტა არ არის და, იმედია, ეხლა მაინც მიაქცევენ ყურადღებას ამ ნაკლს.

იუსტინე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 სექტემბერი

ვისბადენი. აქ მოვიდა დიდი მთავრის მეუღლე ალექსანდრა იოსების ასული.

ჩერნიგოვი. გუბერნატორი სადგურ ნიზოვკას წავიდა, რომ კურსკის ალლუმებისაკენ მიმავალ სპარსეთის შაჰს მიეგებოს.

მოსკოვი. სოლდატენკოვის ანდერძის ამსრულებლებმა ქალაქის საბჭოს გამოუცხადეს, რომ ერთ მილიონსა და ორას ათას მანეთს შემოიტანენ ღარიბთათვის საავადმყოფოს დასაარსებლად წოდებისა და სარწმუნოების გაურჩევლად.

ბიზერტა. რესპუბლიკელთა კლუბის ნადიმზე პელტანმა გამოაცხადა, რომ ისეთს სიტყვებს აწერენ ჩემ ნათქვამად, რომელიც მე არასოდეს არ წარმომითქვამს. მაგალითად, მე იტალიის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობართაგანი ვარ და ის ხმა დამიგდეს, ვითომ კორსიკაში იტალიის საწინააღმდეგო სიტყვები მეთქვასო.

პეტროზავოდსკი. ერობათა აგრონომების ბჭობამ სასურველად იცნო, ერობათა გამგეობებთან დაარსდეს აგრონომთა საბჭო, აგრეთვე გუბერნიაში გაიმართოს სკოლები და ფერმები.

მოსკოვი. დღეს გაიხსნა ვიაზემსკის ქალის მიერ დაარსებული პირველ საკომერციო სასწავლებელი.

ბიზერტა. ქალაქმა ფუნჯი გაუმართა პელტანს. პელტანმა სალამი მიუძღვნა ალჟირსა და თუნისს, როგორც გაფრანგებულ აფრიკასა. ბიზერტა ახალ კართაგენად გახდება, მაგრამ კართაგენის არც ბიწიერება და არც გულ-ქვაობა არ დაჰყვება. „ჩვენ ოცნებობას სრულებით არ აქვს წადილი ქვეყნიერობაზედ გაბატონებისა,—სთქვა პელტანმა—მაგრამ ხმელთა შუა ზღვის ეს ნაწილი სამუდამოდ საფრანგეთისა იქნება. ბიზერტა თუ ხელში გვექნება, ხმელთა შუა ზღვის ორივე ნაპირის კარები შეგვიძლია ღია გვქონდეს, თუნდ მალტაცა და გიბრალტარიც იყოს“. პელტანი ამტკიცებდა, არც ინგლისთან და არც იტალიასთან შეტაკების საჭიროება არა გვაქვსო, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა, მზად ვიყოთ სამშობლოს დასაცველად და რჯულად დავიდოთ ომით წინა აღვუდგეთ ჩვენს მტრებსა. მეცხრამეტე საუკუნის დამლევს, როცა საფრანგეთმა ძველის გერმანიისაგან ბარბაროსული გამარჯვება აიტანა, ჩვენ დავინახეთ ხელ-ახლად მუშტის გაბატონება. მთელი ქვეყნიერება დაემორჩილა მხოლოდ ერთ პრინციპს: „ძალაა ბატონი და არა უფლება“. პელტანმა თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „ჩვენ ყოველივე ღონე იმას უნდა შევსწიროთ, რომ არავინ შეეხოს სამართლიანობის და განათლების ბუდეს, რომელსაც შეადგენს საფრანგეთის გენიოსობა.

5 სექტემბერი

კურსკი. სადილის დროს ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „მე ბედნიერი ვარ, რომ შემიძლიან მოვულოცო თქვენს უდიდებულესობას დაბადების დღე. ვსვამ სადღეგრძელოს თქვენის უდიდებულესობისას, ვუსურვებ დიდებას თქვენს სამეფოს, ადღეგრძელებ სპარსეთს და ვისურვებ რუსეთისა და სპარსეთის მეგობრობის განმტკიცებას.“ ამ სადღეგრძელოს შემდეგ მუსიკამ სპარსეთის ჰიმნი დაუკრა. სპარსეთის შაჰმა სპარსულ ენაზე შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „ვმადლობ განგებას იმისათვის, რომ შემთხვევა მომცა მადლობა გამომეცხადებინა თქვენის უდიდებულესობისათვის იმ კეთილგრძნობათა გამოცხადებისათვის, რომლითაც თქვენმა უდიდებულესობამ მე მადღეგრძელა; აგრეთვე იმ კეთილ და სასიამოვნო დახვედრისათვის, რომლითაც მე ვისიამოვნე თქვენს საბრძანებელში; სრული იმედი მაქვს, რომ კეთილ-განწყობილება, რომელიც აერთებს ჩვენს ორს სახელმწიფოს, ამიერიდან კიდევ უფრო განმტკიცდება. ვსვამ თქვენის უდიდებულესობის სადღეგრძელოს, აგრეთვე მათ უდიდებულესობათ დედოფალთა და თქვენის ავგუსტოესის ოჯახისას, საბედნიეროდ და სადიდებლად თქვენის ქვეყნისა. ვისურვებ თქვენის სამეფოს გაძლიერებასა და აყვავებას“. ამ სიტყვების შემდეგ რუსული ჰიმნი დაუკრეს.

კურსკი. ხელმწიფე იმპერატორის წინაშე წარდგომის ბედნიერება ჰქონდათ სოფ. ნოვოსელისა, ლამაენის სასოფლო საზოგადოებისა და სტრელეცისა და კაზაცკის სლობოდის გლეხთ.

კურსკი. 4 სექტემბერს მორიგეებად ხელმწიფე იმპერატორთან იყვნენ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, გენერალ-მაიორი მოსოლოვი და თავადი ენგალიჩევი. შაჰთან ყოფნა დაევალათ გენერალ-მაიორს ნიკოლაევს და ფლიგელ-ადიუტანტს გრაფ შუვალოვს.

პეკინი. კონჟერმა გადასცა მთავრობას 20 ივლისს დაწერილი მისიონერის კენრაიტის წერილი, რომელშიაც აწერილია ჩენგტუფუში (შეჩუანის პროვინცია) ჩინელ ქრისტიანეთა ამოჟლეტა 1901 წლის ივლისს. 11 ქრისტიანე მოკლეს ბოქსერებმა. ჩინელმა მოხელეებმა არ მოისურვეს იმათ წინააღმდეგ ზომების მიღება, ამას წინად გადმოცემულ დეპეშათა საქმე უფრო გამწვავდა.

კურსკი. 4 სექტემბერს უმაღლეს საუზმის დროს რიშკოვოში უკრავდა მუსიკა და მღეროდა გოლოგოდისა და თერგის ყაზახთა რაზმების მომღერალნი.

კურსკი. 4 სექტემბერს სადამოს 8 საათზე დიდს კარავში რიშკოვოში შაჰის პატივსაცემლად გაიმართა საგანგებო სადილი.

პეტერბურგი. ჩინელებთან ბრძოლის ჯილდოდ კვანტუნის ოლქის ჯარის უფროსის თანაშემწეს გოლკოვს ებოძა ორდენი ანნასი ლენტით.

4 სექტემბერს პეტერბურგის უნივერსიტეტის დარბაზში დაიწყება მეცხრე კრება კრიმინალისტთა შორის კავშირისა.

პარიზი. ნაციონალისტთა ზოგიერთთა გაზეთის სიტყვით, იტალიის ელჩის განცხადების თანახმად, მინისტრ-პრეზიდენტმა შენიშნა მისცა ზღვათა მინისტრს პელტანს იმ სიტყვისთვის, რომელიც წარმოსთქვა ბიზერტაში.

მოსკოვი შემდეგი კრება ლომბარდის გამგეთა დანიშნულია 1904 წლისათვის.

პეტერბურგი. ქალაქის საბჭოში დანიშნულია განსახილველად გაზეთებში მოხსენებული ამბავი საქალაქო საავადმყოფოში ავადმყოფთა ცუდად მოვლის შესახებ.

კიევი. მოხდა გუბერნატორის თავმჯდომარეობით საგუბერნიო კომიტეტის სხდომა სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა შესახებ. კრებამ გადასწყვიტა გაიცნოს ის საკითხები, რომელნიც სამაზრო კომიტეტებმა აღძრეს. თავმჯდომარემ წინადადება შეიტანა პროგრამას ორის საკითხი მიემატოს, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ სამხრეთ-დასავლეთის გუბერნიებისათვის. სახელდობრ: სერვიტუტების შესახებ და ბეგრის განაწილებისა, რომელიც ახლა მარტო გლეხობას აწევს კისრად. კრებას აგრეთვე გააცნეს პროექტი ყოველ მაზრაში სამეურნეო სკოლის დაარსებისა, რომელთანაც სამეურნეო რჩევა იქმნება მოთავსებული. შემდეგი კრება 3 ოქტომბერს მოხდება.

პეკინი. კვანტუნის ოლქის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი და რკინის გზის მოხელენი წარსულ კვირას პეკინში იყვნენ. ამბობენ, მათ ბჭობა ჰქონდათ რუსეთის საელჩოში ლესართან მანჯურიის ერთის პროვინციიდან რუსეთის ჯარის გაყვანის შესახებ, თანახმად ხელ-შეკრულობისა.

ნოვოროსიისკი. ადესას წავიდა გემი „ტამბოვ“-ი.

კონსტანტინეპოლი. პორტსაიდს წავიდა გემი „ყაზან“-ი.

კურსკი. დღეს რიშკოვოში მოვიდა ამალით სპარსეთის შაჰი. მისს უდიდებულესობას სპარსეთის შაჰს შავი მუნდირი ეცვა და ორდენი ანდრია პირველ-წოდებულისა ჰქონდა გაკეთებული. 5 საათზედ რიშკოვოს სადგურზედ დააყენეს საპატიო დარაჯი ბესარაბიის რაზმისა. მატარებლის მოსვლისას დროშებითა და ყვავილებით მორთულს ბაქანზედ გამობრძანდნენ ხელმწიფე-იმპერატორი, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდნი მთავარნი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, სერგეი ალექსანდრეს ძე, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და მიხეილ ნიკოლოზის ძე, გარეშე საქმეთა მინისტრი, საიმპერატორო კარის მინისტრი, გზათა მინისტრი, მათის უდიდებულესობისა და დიდთა მთავართა ამალის წევრნი და კურსკის გუბერნატორი. 5 საათზედ მოვიდა საიმპერატორო მატარებელი, რომელშიაც შაჰი იყო. მუსიკამ მისაგებებელი მარში შეასრულა, ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდნი მთავარნი დაჰხვდნენ სალონ ვაგონიდან გამოსულ შაჰს. ხელმწიფეს სპარსეთის უმაღლეს ორდენის ლენტა ჰქონდა გაკეთებული. ერთმანეთის მისალმების შემდეგ ხელმწიფემ სპასეთის შაჰთან ერთად ჩაუარა დარაჯს. გაისმა სპარსეთის ჰიმნისა და „ზდრავია ჟელაემის“ ხმა.

ამის შემდეგ მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ შაჰისთვის მომზადებულ კარავში. დარბაზობის შემდეგ სადგურის ბაქანზე ხელმწიფემ წარუდგინა შაჰს თავისი ამალა, ხოლო შაჰმა თავისი. 8 საათზე კარვის დიდ სასადილოში გამართულ იქმნა შაჰის პატივსაცემად საგანგებო სადილი. კარვამდე შაჰი მიაცილეს ხელმწიფემ, ხელმწიფე მემკვიდრემ და სპარსეთის ელჩმა მირზა-ჰასან-ხანმა. დაჰყო რა შაჰთან 25 წუთით, ხელმწიფე თავის კარავში გადაბრძანდა; შაჰთან სადარბაზოდ იყვნენ დიდნი მთავარნი. შემდეგ შაჰი ხელმწიფესთან იყო სადარბაზოდ, რომელმაც 25 წუთი გასტანა. თარჯიმნობას სწევდა ელჩი ჰასან-ხანი. დარბაზობის შემდეგ მათი უდიდებულესობანი თავიანთ მატარებელთა ვაგონებში გადავიდნენ.

პეტერბურგი. გუშინ სალამოთი პავლოვის დარბაზში მოხდა ნადიმი, რომელიც გამართეს კრიმინალისტთა საერთაშორისო კრების რუსს წევრებმა უცხო ქვეყნელ სტუმართა პატივსაცემლად.

პეტერბურგის ბირჟა 3 სექტემბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,00
ბერლინზე 100 მარკაში	46,00
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,70
ბერლინზე „	—
პარიზზე „	37,57½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	469 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	358½ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	293¾ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82⅝ „
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	—

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. 1) ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

რესტორანი!

ონანოვის ქარვასლაში სიონის პირ-და პირ ქ. ტფილისში ახლად გასუფთავებული და ყოველივე მხრით გაუმჯობესებული. ფასები ყველაზე ზომიერია.

სადილი ორი „ბლუდით“ და ყავა

30 კაპ.

რესტორანის პატრონი **ბ. ი. შაფაქიძე.**

6—393—2

ახალი წიგნი

შ. არაგვისპირელი

წიგნი მეორე

ფასი 40 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართ. ამხ. მაღაზიაში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე ქ. ტფილისში.

Дозв. ценз. Тифлисъ, 5 Сентября, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).